საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი : 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

სალომე სამხარაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები სალომე სამხარაძეს ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ და საქმისადმი ერთგულ პიროვნებას, რომელსაც აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება.

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

ბ). **დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სალომე სამხარაძე სამართლიანი, პიროვნულად მტკიცე, პრინციპული და ზეგავლენების მიმართ მედეგი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

სალომე სამხარაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სალომე სამხარაძე კორექტული, გაწონასწორებული და თავდაჭერილი პიროვნებაა. კოლეგების თანახმად, მას შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი სასამართლო აპარატის თანამშრომლებს ეპყრობა თავაზიანად და პატივისცემით. საჯარო გასაუბრებაზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავაზიანობით, განსხვავებული აზრის მშვიდად მოსმენის უნარით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ სალომე სამხარაძის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად არ ყოფილა წარმოდგენილი.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სალომე სამხარაძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით სასამართლო აპარატის თანამშრომლებს შორის.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.

სალომე სამხარაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: სალომე სამხარაძემ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. სამართლიან და კანონიერ გადაწყვეტილებათა ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისას, კანდიდატმა სწორად გაუსვა ხაზი კანონის განმარტების *contra legem* პრინციპს და აღნიშნა, რომ

ცალკეულ შემთხვევებში მოსამართლემ უნდა განმარტოს კანონი, თუნდაც დანაწესის საწინააღმდეგოდ, რათა თავად კანონის აღსრულებამ საფრთხე არ შეუქმნას სამართლებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. კანდიდატმა უპასუხა კითხვებს სხვადასხვა დარგიდან, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეკითხვებზე პასუხი იყო ზოგადი ხასიათის.

აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძეს სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. კანდიდატი ამჟამად მუშაობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის თანახმად, სალომე სამხარაძეს აქვს კარგი თეორიული ცოდნა როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართალში, რომელსაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. რეკომენდატორთა შეფასებით, კანდიდატი სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, იცნობს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე სამხარაძე სრულფასოვნად ახერხებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. მისთვის საკმარისია ფაქტობრივი გარემოებების გაცნობა, რომ მიხვდეს და ჩასწვდეს სამართლებრივი პრობლემის არსს. ამასთან, კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ სალომე სამხარის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი ხარისხით, იგი საკუთარ მსჯელობაში ეყრდნობა როგორც უზენაესი, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკოსის თმენის ვალდებულებაზე, სწორად მიუთითა, რომ პოლიტიკოსის მხრიდან ძალადობრივი თავდაცვის რეაქცია არ არის გამართლებული, საპასუხო თავდაცვითი რეაქციისაგან განსხვავებით. მსჯელობისას არგუმენტს ამყარებდა ეროვნული და ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა

ცალკეულ შემთხვევებში ზოგადი ხასიათის იყო, არ ჩანდა პრობლემების გამოკვეთა და სიღრმისეული ანალიზი.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი: სალომე სამხარაძემ წარმოადგინა 1 სამართლებრივი ნაშრომი, კერძოდ სამეცნიერო სტატია სახელწოდებით „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას". კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სალომე სამხარაძე აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად. კანდიდატი ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს. უსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე სამხარაძის მიერ ურთულეს საქმეებზე მომზადებულ იქნა გადაწყვეტილებათა სრულყოფილი პროექტები. კანდიდატის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები უმეტეს შემთხვევაში საჭიროებდა უმნიშვნელო კორექტირებას.

სალომე სამხარაძემ საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს აქვს სხვისი აზრის დინჯად მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაზიარების უნარი, რასაც უთითებენ მისი რეკომენდატორებიც. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე სამხარაძე გამოირჩევა გადმოცემისა და ლოგიკური მსჯელობის, საქმის გარემოებებისა და მასში არსებული პრობლემების სტრუქტურულად ჩამოყალიბების უნარით.

პროფესიული თვისებები: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სალომე სამხარაძეს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ პიროვნებას. რეკომენდატორთა შეფასებით, კანდიდატს შესწევს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე სამხარაძემ გამოავლინა ორგანიზებულობის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი და მზაობა მაღალი დატვირთულობისთვის. დამოუკიდებელი საბჭოს თანახმად, კანდიდატი არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, სტრესის ამტანი, მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 4 ღონისძიებაში, მათ შორისაა ტრენინგები პერსონალურ მონაცემთა დაცვის,

ადამიანის უფლებათა სტანდარტების სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ და სხვ.

სალომე სამხარაძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XV ჯგუფის მსმენელი (2020 წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-16 ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე სამხარაძე არ ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2019 წელს, კანდიდატის სამეცნიერო სტატია სახელწოდებით „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას" გამოქვეყნდა საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძე ამჟამად გადის სტაჟირებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მოსამართლე ლადო ჭანტურიას ზედამხედველობით.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. სალომე სამხარაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 85 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 22 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 21 ქულა;
   2.3.წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 18 ქულა:
   2.4.პროფესიული თვისებები - 15 ქულა;
   2.5.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 6 ქულა;
   2.6.პროფესიული აქტივობა - 3 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021